



განათლებისა და  
მეცნიერების მინისტრი

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



MES 0 23 0001573130



17/11/2023

თბილისი

### სახელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმების წესისა და ვადების განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის №118 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესი და ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 23 მარტის N272506 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 20 სექტემბრის N1192753, 2023 წლის 10 ნოემბრის N1529793 და 2023 წლის 17 ნოემბრის N1570097 მოხსენებითი ბარათების გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სახელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმების წესი და ვადები განისაზღვროს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების მინისტრი  
გიორგი ამილახვარი



სახელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან  
შეთანხმების წესი და ვადები

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

1. ეს წესი არეგულირებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (შემდგომ – სკოლა)/ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის (შემდგომ – სტატუსის მაძიებელი) მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (შემდგომ – სამინისტრო) სახელმძღვანელოს შეთანხმების (შემდგომ – შეთანხმება) წესსა და ვადებს.

2. შეთანხმების მიზანია ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების განხორციელების ხელშეწყობა „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმით (შემდგომ – ეროვნული სასწავლო გეგმა) განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი ხარისხიანი სასკოლო სახელმძღვანელოების მოსწავლეებისათვის შეთავაზების გზით, რომელიც, ამავე დროს, ითვალისწინებს სასკოლო სასწავლო გეგმას.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

ამ წესის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სასკოლო სახელმძღვანელო – განმცხადებლის შეხედულებით ეროვნული სასწავლო გეგმის და სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით ერთი ან ერთდროულად რამდენიმე კლასისათვის განკუთვნილი საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც განკუთვნილია ამავე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სტანდარტებითა და შესაბამისი სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად. სახელმძღვანელოს სახეებია: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის წიგნის დანართი, მოსწავლის რვეული, მასწავლებლის წიგნი, ელექტრონული რესურსი მოსწავლის ან მასწავლებლის წიგნისათვის და სხვა;

ბ) სახელმძღვანელო – განმცხადებლის მიერ შესათანხმებლად წარმოდგენილი სახელმძღვანელო;

გ) სახელმძღვანელოს კომპლექტი – ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნისა და კონკრეტული კლასისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოს ერთი ან ერთზე მეტი სახე (ნაკრები);

დ) განმცხადებელი – სკოლა/სტატუსის მაძიებელი, რომელიც სამინისტროს წარუდგენს შეთანხმების განაცხადს კონკრეტული სახელმძღვანელოს შეთანხმების თხოვნის შესახებ;

ე) შეთანხმების განაცხადი (შემდგომ – განაცხადი) – განმცხადებლის მიერ კონკრეტული სახელმძღვანელოს შეთანხმების მიზნით, წინამდებარე წესის დანართით განსაზღვრული სახელმძღვანელოს ანკეტის რეკვიზიტების დართვით, სამინისტროში მატერიალური სახით წარდგენილი განაცხადი;

ვ) შეთანხმებული სახელმძღვანელო – კონკრეტული საგნის ერთი ან რამდენიმე კლასისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო (ნაბეჭდი და/ან ელექტრონული გამოცემა), რომელზეც შემფასებლის/შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება სახელმძღვანელოს სამინისტროსთან შეთანხმების შესახებ. შეთანხმებული სახელმძღვანელო სასწავლო პროცესში წარმოადგენს ძირითად საგანმანათლებლო რესურსს, თუ სკოლა სასწავლო პროცესს არ წარმართავს შესაბამისი საგნისა და კლასის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოთი;

ზ) შეფასება – პროცესი, რომლის დროსაც დგინდება სახელმძღვანელოს შესაბამისობა ამ მუხლის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან;

თ) სახელმძღვანელოს შეფასების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმი - სახელმძღვანელოს შინაარსობრივი და ტექნიკური მახასიათებლების შესაფასებლად მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მოთხოვნები და/ან ინდიკატორები;

ი) შემფასებელი – პირი (მასწავლებელი, დარგის მეცნიერი, ფსიქოლოგი, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის სტანდარტის შემუშავებაში გამოცდილების მქონე პირი/ეროვნული სასწავლო გეგმის ექსპერტი ან სხვა სპეციალისტი), რომელიც ამ მუხლის "თ" ქვეპუნქტით განსაზღვრული შესაბამისი კრიტერიუმების გამოყენებით ახორციელებს სახელმძღვანელოს შეფასებას;

კ) დასკვნა – შემფასებლის/შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფის მიერ შედგენილი ერთიანი დასკვნა ამ მუხლის "თ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან სახელმძღვანელოს შესაბამისობის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, შეფასებითა და გადაწყვეტილებით;

ლ) სახელმძღვანელოს ანკეტა – წინამდებარე წესის დანართით განსაზღვრული ფორმა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას კონკრეტული სახელმძღვანელოს შესახებ;

მ) საჩივრის განხილვა – განმცხადებლის მიერ შეთანხმების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით წერილობითი საჩივრის წარდგენის, განხილვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

### **მუხლი 3. განაცხადის წარდგენა**

1. განაცხადი წარედგინება სამინისტროს.

2. შეთანხმების მიზნით განმცხადებელმა სამინისტროს უნდა წარუდგინოს:

ა) განაცხადი მატერიალური სახით, რომელიც უნდა მიემართებოდეს ერთი საგნისა და კლასის სახელმძღვანელოს;

ბ) სახელმძღვანელოს ანკეტა (შევსებული პრინციპით: ერთი სახელმძღვანელო – ერთი სახელმძღვანელოს ანკეტა);

გ) სახელმძღვანელოს 2 არაანონიმური ეგზემპლარი მატერიალური და/ან ელექტრონული (განთავსებული ელექტრონულ მატარებელზე) სახით;

დ) სასკოლო სასწავლო გეგმა;

ე) ფსიქოლოგის დასაბუთება სახელმძღვანელოს ენისა და საკომუნიკაციო ფორმების მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებთან შესაბამისობის შესახებ;

ვ) დასაბუთება გრიფინიჭებული/შეთანხმებული სახელმძღვანელოსგან განსხვავებული სახელმძღვანელოს გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ.

3. დასაშვებია შესათანხმებლად წარმოდგენილი კონკრეტული საგნისა და კლასის სახელმძღვანელოს კომპლექტი განსხვავდებოდეს გრიფირების გამოცხადების შესახებ მინისტრის უახლესი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შესაბამისი საგნისა და კლასის სახელმძღვანელოს კომპლექტისგან, ასევე შეიცავდეს ამ წესით დადგენილისაგან განსხვავებულ სახელმძღვანელოს სახეს.

4. განმცხადებელი ვალდებულია სამინისტროს ელექტრონული ფორმით (განთავსებული ელექტრონულ მატარებელზე) წარუდგინოს სახელმძღვანელოს ის სახე, რომელიც არ ვრცელდება ნაბეჭდი ფორმით.

5. სკოლის/სტატუსის მაძიებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი დამატებითი საგანმანათლებლო რესურსი არ საჭიროებს სამინისტროსთან შეთანხმებას.

#### **მუხლი 4. სახელმძღვანელოს შეფასება**

1. სახელმძღვანელოს შეფასებას ახორციელებს შემფასებელი ან შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფი, რომელსაც განსაზღვრავს/ქმნის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი. შემფასებელთა საგნობრივ ჯგუფს თავმჯდომარეობს წილისყრით შერჩეული ერთ-ერთი შემფასებელი ამავე შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფიდან.

2. სახელმძღვანელოს შეფასებისას დგინდება მისი შესაბამისობა სახელმძღვანელოს შეფასების შინაარსობრივ და ტექნიკურ კრიტერიუმებთან.

3. შემფასებელთა საგნობრივ ჯგუფს ამ წესთან მიმართებით საქმიანობის კოორდინაციას უწევს შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფის თავმჯდომარე. ხოლო, ერთი შემფასებლის შემთხვევაში - სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი.

4. შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფის/შემფასებლის საქმიანობის ზედამხედველობას და კოორდინაციას ახორციელებს სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი.

#### **მუხლი 5. შემფასებლის/შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფის მუშაობის წესი**

1. შემფასებლისთვის/შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფისთვის შესათანხმებლად წარმოდგენილი სახელმძღვანელოს ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი.

2. შემფასებელი/შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფი შეფასებას ახორციელებს ამ წესის მიხედვით, სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ მიცემული ინსტრუქციებისა და დადგენილი ვადების შესაბამისად.

3. შემფასებელი/შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფი ვალდებულია დაადგინოს შესათანხმებელი სახელმძღვანელოს შესაბამისობა სახელმძღვანელოს შეფასების შინაარსობრივ და ტექნიკურ კრიტერიუმებთან, იმსჯელოს დასაბუთების რედაქციულად ჩამოყალიბების საკითხზე, რასაც შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფი ურთიერთშეჯერების საფუძველზე ახდენს, და განახორციელოს შესაბამისი სიტყვიერი შეფასება „აკმაყოფილებს“ ან „არ აკმაყოფილებს“ სახელმძღვანელოს შეფასების შინაარსობრივ და ტექნიკურ კრიტერიუმებთან სახელმძღვანელოს შესაბამისობასთან დაკავშირებით.

4. შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფის შემფასებელი, ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, შინაარსობრივი კრიტერიუმებით შეფასებისას იყენებს სახელმძღვანელოს შეფასების შინაარსობრივი კრიტერიუმების შესაბამის ნაკრებს. თუ შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფი დაკომპლექტებულია მხოლოდ მასწავლებლის და/ან დარგის მეცნიერის და/ან ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის სტანდარტის შემუშავებაში გამოცდილების მქონე პირის/ეროვნული სასწავლო გეგმის ექსპერტისგან სახელმძღვანელოს შეფასებისას იყენებენ ყველა შინაარსობრივ კრიტერიუმს.

5. შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფის შემთხვევაში, სახელმძღვანელოს სახელმძღვანელოს შეფასების შინაარსობრივ კრიტერიუმებთან შესაბამისობის საკითხი, რა დროსაც გამოიყენება სიტყვიერი შეფასება „აკმაყოფილებს“ ან „არ აკმაყოფილებს“, წყდება შესაბამისი კრიტერიუმის შემფასებელ პირთა ხმათა უმრავლესობით, ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფის თავმჯდომარის ხმა.

6. შემფასებელი, გარდა შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფის თავმჯდომარისა, უფლებამოსილია არ დაესწროს ან მონაწილეობა არ მიიღოს შესაბამის შინაარსობრივ კრიტერიუმთან მიმართებით შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფის მიერ სახელმძღვანელოს შეფასების განხილვასა და წილისყრაში, თუ შეფასებისას არ იყენებს შესაბამის კრიტერიუმს. იმ შემთხვევაში, თუ შეხვედრას საპატიო მიზეზით ვერ დაესწრება შემფასებელი, რომელიც იყენებს შესაბამისი კრიტერიუმს, შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფი ვალდებულია იმსჯელოს და განიხილოს მის მიერ განხორციელებული შეფასება.

7. შემფასებელი/შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფი იღებს გადაწყვეტილებას სახელმძღვანელოს შეთანხმებაზე ან შეთანხმებაზე უარის თქმის შესახებ, რაც აისახება შემფასებლის/შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფის დასკვნაში.

8. სახელმძღვანელოსთვის შეთანხმებული სახელმძღვანელოს სტატუსის მინიჭების საფუძველია თუ სახელმძღვანელო „აკმაყოფილებს“ სახელმძღვანელოს შეფასების თითოეულ შინაარსობრივ და ტექნიკურ კრიტერიუმს და შემფასებლის/შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება სახელმძღვანელოს შეთანხმებაზე.

9. შემფასებელი/შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფი შედგენილ დასკვნას წარუდგენს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტს.

10. განმცხადებლისთვის შემფასებლის/შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობას უზრუნველყოფს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი წერილობითი ფორმით.

## **მუხლი 6. უფლებები და ვალდებულებები**

1. სკოლა/სტატუსის მაძიებელი უფლებამოსილია:

ა) შეთანხმებული სახელმძღვანელო შეცვალოს გრიფინიჭებული ან მის მიერ სამინისტროსთან შეთანხმებული სხვა სახელმძღვანელოთი;

ბ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა უფლებამოსილებები.

2. სკოლა/სტატუსის მაძიებელი ვალდებულია:

ა) განაცხადი სამინისტროში წარადგინოს სკოლის/სტატუსის მაძიებლის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე არაუგვიანეს 60 დღით ადრე;

ბ) საჯარო სკოლის შემთხვევაში, შეთანხმებული სახელმძღვანელოებით შესაბამისი მოსწავლეების უზრუნველყოფისათვის საჭირო ხარჯები გაიღოს სკოლის ბიუჯეტიდან;

გ) შეთანხმებული სახელმძღვანელო სასწავლო პროცესში ძირითად საგანმანათლებლო რესურსად არ გამოიყენოს შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომდევნო სასწავლო წლამდე;

დ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ვალდებულებები.

3. სამინისტრო უფლებამოსილია:

ა) სახელმძღვანელოზე დამატებითი მოსაზრებების მოპოვების მიზნით, შეფასების ეტაპზე ჩართოს შესაბამისი საგნის/დარგის სპეციალისტ(ებ)ი და განსაზღვროს მათი უფლება-მოვალეობები;

ბ) ამ წესით გათვალისწინებული დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნებისათვის, გააფორმოს შრომითი ხელშეკრულებები;

გ) განახორციელოს წინამდებარე წესით მინიჭებული უფლება-მოვალეობების მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის დელეგირება;

დ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა უფლებამოსილებები.

4. სამინისტრო ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სახელმძღვანელოს ობიექტური შეფასება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) შესათანხმებლად წარმოდგენილი/შეთანხმებული სახელმძღვანელო გამოიყენოს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა, მათ შორის, ავტორის პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებების დაცვით;

გ) სახელმძღვანელოს შეთანხმების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს სკოლას/სტატუსის მაძიებელს, სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს - საგანმანათლებლო რესურსცენტრს (შემდგომ - რესურსცენტრი), სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს (შემდგომ - სააგენტო), სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (შემდგომ - მართვის სისტემა), სტატუსის მაძიებლის შემთხვევაში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (შემდგომ - ცენტრი);

დ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ვალდებულებები.

5. გრიფმინიჭებული/შეთანხმებული სახელმძღვანელოს ჩანაცვლება შესაბამისი საგნისა და კლასის სხვა გრიფმინიჭებული/შეთანხმებული სახელმძღვანელოთი დაუშვებელია სასწავლო წლის მიმდინარეობისას.

6. რესურსცენტრი, სკოლის მიერ გრიფმინიჭებული/შეთანხმებული სახელმძღვანელოს შეთანხმებული სახელმძღვანელოთი შეცვლის შესახებ წერილობითი ინფორმაციის მიღების შემდგომ, 3 სამუშაო დღის განმავლობაში, უზრუნველყოფს სახელმძღვანელოს შეცვლის შესახებ ინფორმაციის დამატებასა და ასახვას ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, რაზეც დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს სამინისტროს და სააგენტოს.

7. სკოლის მიერ შეთანხმებული სახელმძღვანელოს შეცვლა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოთი დაიშვება სამინისტროს თანხმობით სკოლის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე. სამინისტრო შეთანხმებული სახელმძღვანელოს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოთი შეცვლაზე თანხმობის გაცემის შესახებ ინფორმაციას უგზავნის სკოლას, რესურსცენტრს, მართვის სისტემას და სააგენტოს. რესურსცენტრი, ინფორმაციის მიღების შემდგომ, 3 სამუშაო დღის განმავლობაში, უზრუნველყოფს სახელმძღვანელოს შეცვლის შესახებ ინფორმაციის ასახვას ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, რაზეც დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს სამინისტროს და სააგენტოს.

8. სტატუსის მაძიებლის მიერ სამინისტროსთან სახელმძღვანელოს შეთანხმების შემთხვევაში, რესურსცენტრი უზრუნველყოფს შეთანხმებული სახელმძღვანელოს შესახებ ინფორმაციის დამატებასა და ასახვას ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, სკოლის ავტორიზაციის შესახებ ინფორმაციის ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში, რაზეც დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს სამინისტროს და სააგენტოს.

9. სტატუსის მაძიებლის მიერ შეთანხმებული სახელმძღვანელოს შეცვლა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოთი დაიშვება სამინისტროს თანხმობით, სტატუსის მაძიებლის დასაბუთებული მომართვის საფუძველზე. სამინისტრო შეთანხმებული სახელმძღვანელოს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოთი შეცვლაზე თანხმობის გაცემის შესახებ ინფორმაციას უგზავნის სტატუსის მაძიებელს, რესურსცენტრს, მართვის სისტემას, ცენტრს და სააგენტოს. რესურსცენტრი, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, უზრუნველყოფს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს შესახებ ინფორმაციის ასახვას ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, სკოლის ავტორიზაციის შესახებ ინფორმაციის ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში, რაზეც დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს სამინისტროს და სააგენტოს.

10. ერთი სკოლის ერთი პროგრამის ფარგლებში თითოეული კლასის ყველა პარალელში უნდა ისწავლებოდეს ერთი და იმავე შეთანხმებული სახელმძღვანელოთი.

## **მუხლი 7. ვადები**

1. სახელმძღვანელოსათვის შეთანხმებული სახელმძღვანელოს სტატუსის მინიჭება ხდება შესაბამისი სკოლის ავტორიზაციის ვადით/ავტორიზაციის დარჩენილი ვადით.



2. სახელმძღვანელოს შეთანხმების შესახებ სამინისტროს მიერ გადაწყვეტილება მიიღება განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს 60 დღის ვადაში. შესათანხმებელი სახელმძღვანელოების რაოდენობიდან გამომდინარე, დასაშვებია ვადის გაზრდა განაცხადის წარმოდგენიდან არაუმეტეს 90 დღემდე.

3. შეთანხმებული სახელმძღვანელო სასწავლო პროცესში ინერგება შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომდევნო სასწავლო წელს.

#### **მუხლი 8. საჩივრების განხილვა**

1. განმცხადებელი უფლებამოსილია, შეთანხმების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით დასაბუთებული საჩივარი წარუდგინოს საჩივრის განხილველ სააპელაციო კომისიას, რომელიც იქმნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

2. შეთანხმების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაზე საჩივრის წარდგენა, განხილვა და გადაწყვეტილების მიღება წარმოებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

3. საჩივრების წარდგენა და განხილვა წარიმართება შემფასებლის/შემფასებლების ვინაობის კონფიდენციალობის დაცვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განხილვის პროცესში შესაბამისი შემფასებლის/შემფასებლების ჩართვის საჭიროება არსებობს.

#### **მუხლი 9. გარდამავალი დებულება**

წინამდებარე წესის ამოქმედებამდე სამინისტროსთან შეთანხმებული სასკოლო სახელმძღვანელო ჩაითვალოს ამ წესის შესაბამისად შეთანხმებულად.

სახელმძღვანელოს ანკეტის რეკვიზიტები

1. ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ	
1.1. განმცხადებელი	
1.2. საგნობრივი ჯგუფი	
1.3. საგანი	
1.4. საგნის სტატუსი	<input type="checkbox"/> სავალდებულო <input type="checkbox"/> არჩევითი
1.5. კლასი	
1.6. სახელმძღვანელოს ენა	
1.7. სახელმძღვანელოს სექტორი	<input type="checkbox"/> ქართულენოვანი <input type="checkbox"/> არაქართულენოვანი
1.8. სახელმძღვანელოს დასახელება	
1.9. სახელმძღვანელოს ავტორ(ებ)ის სახელი, გვარი/ფსევდონიმი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
1.10. სახელმძღვანელოს გამომცემლობა	
1.11. სახელმძღვანელოს ISBN	

<p>1.12. კომპლექტში შემავალი სახელმძღვანელოს სახეების სრული ჩამონათვალი  (- სახელმძღვანელოს რომელიმე სახე თუ შედგება ნაწილებისგან, მიუთითეთ ნაწილების რაოდენობა; - ჩამოთვლილისგან განსხვავებული სახის შემთხვევაში, მიუთითეთ ამ სახელმძღვანელოს სახის კონკრეტული დასახელება)</p>	<ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> მოსწავლის წიგნი</li> <li><input type="checkbox"/> მასწავლებლის წიგნი</li> <li><input type="checkbox"/> მოსწავლის რვეული</li> <li><input type="checkbox"/> მოსწავლის წიგნის დანართი</li> <li><input type="checkbox"/> ელ. რესურსი მოსწავლის წიგნისთვის</li> <li><input type="checkbox"/> ელ. რესურსი მასწავლებლის წიგნისთვის</li> <li><input type="checkbox"/> სხვა _____</li> </ul>
<p>1.13. კომპლექტში შემავალი ნაბეჭდი სახელმძღვანელოს სახეების გვერდების რაოდენობა:  (ჩამოთვლილისგან განსხვავებული სახის არსებობის შემთხვევაში მიუთითეთ დასახელებაც)</p>	<p>მოსწავლის წიგნი _____ გვ.  მასწავლებლის წიგნი _____ გვ.  მოსწავლის რვეული _____ გვ.  მოსწავლის წიგნის დანართი _____ გვ.  სხვა _____ გვ.  სხვა _____ გვ.</p>